მოქნილი სამუშაო ფორმატი და შიდა კომუნიკაცია: როგორ მოქმედებს ჰიბრიდული და დისტანციური სამუშაო გარემო თანამშრომელთა მოტივაციასა და ორგანიზაციულ ეფექტიანობაზე საქართველოში არსებულ სარეკლამო სააგენტოებში

მარიამ ჩხარტიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე საზოგადოებრივი ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

საზოგადოებასთან ურთიერთობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი მახარაძე, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ ჩხარტიშვილი

19.06.2025

აბსტრაქტი

თანამედროვე ორგანიზაციულ პრაქტიკაში ჰიბრიდული და დისტანციური სამუშაო მოდელები მნიშვნელოვნად ცვლიან შიდა კომუნიკაციის მექანიზმებსა და თანამშრომელთა მოტივაციის პროცესებს. ციფრული ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, კომპანიები სხვადასხვა სფეროში, მათ შორის სარეკლამო სააგენტოებში, აქტიურად ნერგავენ მოქნილ სამუშაო ფორმატებს, რაც ახალ სტანდარტებს აყალიბებს შიდა კომუნიკაციის და ორგანიზაციული ეფექტიანობის თვალსაზრისით.

წარმოდგენილი ნაშრომი იკვლევს შიდა კომუნიკაციის როლს თანამშრომელთა მოტივაციისა და ორგანიზაციული ეფექტიანობის გაუმჯობესებაში ჰიბრიდული და დისტანციური სამუშაო მოდელების პირობებში. კვლევა ფოკუსირებულია საქართველოში მოქმედ სარეკლამო სააგენტოებზე და მიზნად ისახავს იმ კომუნიკაციური პრაქტიკების გამოვლენას, რომლებიც ხელს უწყობს თანამშრომელთა ჩართულობისა და შიდა ერთიანობის შენარჩუნებას არატრადიციულ სამუშაო გარემოში.

ნაშრომის მიზნებიდან გამომდინარე ჩატარდა შერეული ტიპის ორსაფეხურიანი კვლევა. პირველ ეტაპზე განხორციელდა თვისებრივი კვლევა, რომლის ფარგლებშიც ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუები სარეკლამო სააგენტოების სხვადასხვა იერარქიულ დონეზე დასაქმებულ თანამშრომლებთან (n=9). მეორე ეტაპზე ჩატარებული იყო რაოდენობრივი კვლევა მოქნილ სამუშაო ფორმატებში დასაქმებულ თანამშრომელთა შორის (n=204). მიღებული მონაცემები გაანალიზდა კომბინირებული ანალიზის ჩარჩოში და ინტერპრეტირებულია შიდა კომუნიკაციის ეფექტიანობის, მოტივაციისა და თანამშრომელთა ჩართულობის კონტექსტში.

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ შიდა კომუნიკაციის ეფექტიანობა — როდესაც ინფორმაცია დროულად, გასაგებად და თანაბრად მიეწოდება ყველა თანამშრომელს — მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მოტივაციისა და სამუშაო კმაყოფილების ზრდას. მიუხედავად ამისა, ძირითად გამოწვევად რჩება ციფრული გადაღლა, ინფორმაციული გადატვირთვა და არაფორმალური ურთიერთობების დეფიციტი. ასევე ნაშრომი

წარმოგიდგენთ რეკომენდაციებს, როგორ შეიძლება გაუმჯობესდეს შიდა კომუნიკაცია ჰიბრიდულ სამუშაო გარემოში, განსაკუთრებით სარეკლამო სააგენტოების კონტექსტში საქართველოში.

საკვანძო სიტყვები: ჰიბრიდული მუშაობა, დისტანციური მუშაობა, შიდა კომუნიკაცია, თანამშრომელთა მოტივაცია, ორგანიზაციული ეფექტიანობა, საქართველოს სარეკლამო სააგენტოები, თანამშრომელთა ჩართულობა.

Abstract

The rise of hybrid and remote working models has significantly reshaped internal communication and employee motivation in modern organizations. With the advancement of digital technologies, industries such as advertising are increasingly adopting flexible work formats, creating new demands for communication efficiency and organizational cohesion.

This study examines the role of internal communication in enhancing employee motivation and organizational performance within hybrid and remote work environments. Focusing on advertising agencies in Georgia, the research identifies communicative practices that promote employee engagement and internal unity in non-traditional settings.

A two-stage mixed-method approach was employed. The first phase involved qualitative, in-depth interviews with employees across different hierarchical levels (n = 9). The second phase included a quantitative survey of employees working in flexible formats (n = 204). The data were analyzed through an integrated analytical framework to assess internal communication effectiveness, motivation, and engagement.

Findings reveal that effective internal communication—characterized by timely, clear, and equitable information sharing—has a strong positive impact on employee motivation and job satisfaction. However, challenges such as digital fatigue, information overload, and reduced informal interaction remain prevalent.

The study offers practical recommendations for improving internal communication strategies in organizations operating under flexible work models. These findings are particularly relevant to Georgian advertising agencies, where hybrid and remote formats are becoming increasingly widespread.

Keywords: Hybrid work, remote work, internal communication, employee motivation, organizational effectiveness, Georgian advertising agencies, employee engagement.

მადლობა

მსურს განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო ჩემი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეულ ლექტორს, გიორგი მახარაძეს, გამოჩენილი პროფესიონალიზმისა და თანადგომისთვის. მისი ჩართულობა, ღირებული რეკომენდაციები და გულწრფელი მხარდაჭერა ნაშრომის შინაარსობრივი და სტრუქტურული ფორმირების ყველა ეტაპზე გადამწყვეტი აღმოჩნდა ნაშრომის თემატური სიზუსტისა და არგუმენტირებული ანალიზის ჩამოყალიბებისთვის.

ასევე დიდ მადლობას ვუხდი კვლევითი პროექტის თითოეულ მონაწილეს მათი წვლილისა და ინფორმაციული გამოხმაურებისთვის, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებისთვის.